2020/2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის აშშ-ს ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის ფოგარტის საერთაშორისო ცენტრის მიერე დაფინანსებული ,,ICREATE-კვლევის მოცულობის გაზრდა აღმოსავლეთ ევროპაში'' პროექტის ფარგლებში ბაბეშ ბოლიაის სახელობის და აივოვას უნივერსიტეტების მიერ გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატების შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

**1. კონკურსის მიზანი**

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს შორის ბაბეშ ბოლიაის და აიოვას უნივერსიტეტების მიერ გამოყოფილი სტიპენდიების კანდიდატების შერჩევა.

**2. კანდიდატები და სტიპენდიატები**

კანდიდატები შეირჩევიან სტუდენტებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს ელექტრონულ სააპლიკაციო სისტემაში (mobility.tsu.ge) საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე. სტიპენდიატებს შეარჩევს პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტი თსუ-ს შესარჩევი კომისიის მიერ მიწოდებული შეფასების საფუძველზე.

**3. კანდიდატების შერჩევა**

ა)კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-ს საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით

1. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA)
2. მოტივაცია
3. ზეპირი პრეზენტაცია

**4. კომისიის შეფასება**

ა)აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა გამოითვლება სტუდენტის GPA-ის 10-ზე გამრავლებით; მაქსიმალური შესაძლო ქულა: 40 (4×10);

ბ)კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციის და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას;

გ)კანდიდატის მოტივაციის და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

| | |
|---|---|
| ბრწყინვალე - | 10 ქულა |
| ძალიან კარგი - | 9 ქულა |
| კარგი - | 8 ქულა |
| დამაკმაყოფილებელი - | 7 ქულა |
| საკმარისი - | 6 ქულა |
| არადამაკმაყოფილებელი - | 5 ქულა და ნაკლები |

გ)შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებს ენიჭებათ დამატებით 1 ქულა.

**5. სტიპენდიატების გამოვლენა**

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-ს შესარჩევი კომისიის შეფასებისა და პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე.